პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 288 (18530) ხუთშაბათი, 16 დეკემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ჩვენ, „სალუტ-7" — „სოიუზ ტ" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსით ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი პილოტირებული ფრენის მომზადებისა და განხორციელების, სამი „სოიუზ ტ" კოსმოსური ხომალდისა და ოთხი „პროგრეს" სატვირთო ხომალდის გაშვებისა და ფრენის ...

...

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის დაგეგმვის, ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ".

დადგენილებით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრანსპორტის გეგმიანი ხელმძღვანელობის სრულყოფას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სატრანსპორტო საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება. საერთო სარგებლობის ტრანსპორტზე, მის ცალკეულ სახეობათა თავისებურებების გათვალისწინებით, ვრცელდება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილების ძირითადი დებულებანი.

მიღებული დადგენილებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სატრანსპორტო და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომ გეგმების შემუშავებისას უზრუნველყონ კომპლექსურად იგეგმებოდეს გადაზიდვა-გადაყვანა და ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის განვითარება, ყველაზე ეფექტიანად გამოიყენებოდეს ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეწონასწორებული იყოს გადაზიდვა-გადაყვანაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება და ყველა სახეობის ტრანსპორტის მზიდუნარიანობის განვითარება, დაწესდეს რაციონალური სამეურნეო ურთიერთობანი პროდუქციის მიწოდებაში მისი ტრანსპორტირების მინიმალური დანაწარჯების გათვალისწინებით, რაციონალურად განაწილდეს გადაზიდვა-გადაყვანა ყველა სახეობის ტრანსპორტს შორის, ფართოდ ინერგებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები ტრანსპორტზე, გაუმჯობესდეს ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციათა საექსპლოატაციო საქმიანობა, რათა ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება და სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი, ეფექტიანად გამოიყენებოდეს ძირითადი ფონდები, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, მომჭირნედ ხარ-...

...

დღეს უფრო მეტი, ვიდრე გუშინ, ხვალ უფრო მეტი, ვიდრე დღეს!

„კომუნისტის" ოპერატიული მიმოხილვა

...

წლიური გეგმა-ვალდებულება — ვადამდე

ფოთი (საქ. კორ. რ. რუსია). სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა, რომლებმაც მიმდინარე თვის პირველ დეკადაში შეასრულეს წლიური გეგმა, ხოლო 12 დეკემბერს სამშობლოს საიუბილეო ...

...

ფოთის მრეწველობის მუშაკთა ბოლოდროინდელი ასეთი თვალსაჩინო მიღწევები შრომითი კოლექტივების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ნაყოფიერი გარჯის შედეგია.

საქართველოს დღეები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

მოსკოვური შეხვედრების სითბო

მადლიერი ხსოვნის წილ

მოსკოვი, 14 დეკემბერი. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თავის საქმეებს, ფიქრებს, მისწრაფებებს, ილიჩის მიხედვით ამოწმებენ. ყველაფერი, რასაც ჩვენმა რესპუბლიკამ მიაღწია სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ვ. ი. ლენინის ანდერძის გა-...

უკვდავი გმირობა, რომელმაც ფაშიზმთან სასიკვდილო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაიცვა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. აქ, ალექსანდრეს ბაღში კრემლის გალავანთან, უცნობი ჯარისკაცის საფლავზე მოვიდა საქართველოს სს რესპუბლი-...

...

სიტყვა საბჭოთა საქართველოზე

...

სურათზე: საქართველოს საიუბილეო ექსპოზიციის დამთვალიერებლები გამოფენაზე „ერთიან ოჯახში".

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

...

სურათზე: სსრ კავშირის სახალხო არტისტი რამაზ ჩხიკვაძე ავტოგრაფებს აძლევს გამოფენის დამთვალიერებლებს.

ა. რუხაძისა და ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

მოსკოვი, რევოლუციის მოედანი. აქ, ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში უწყვეტ ნაკადად მოდიან ადამიანები. მოდიან, რათა ისწავლონ ბრძოლა და გამარჯვება... ქვეყნის მთავარი მუზეუმის დაბადების დღიდან — 1924 წლის 31 მაისიდან აქ, ილიჩთან იყო 150 მილიონზე მეტი კაცი.

...და ვერაფერი ვერ დაფარავს ხალხის გზას მისკენ

...

თქვა მან. — სასიხარულოა, როცა ხედავ, რომ პარტიის ვეტერანთა მიერ დათესილმა თესლმა ასეთი შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

საქართველოს სსრ დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა მუზეუმის მუშაკებს, ძველ ბოლშევიკებს გულთბილი შეხვედრისათვის ...

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში — სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯის ნორმების საშუალო შემცირების დავალებანი.

დაწესებულია აგრეთვე წლიური გეგმის მაჩვენებლები სსრ კავშირის სატრანსპორტო სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის დამაკონკრეტებელი, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, დამაზუსტებელი დავალებები, რომლებიც დამტკიცებულია ხუთწლედის შესაბამისი წლისათვის.

ტვირთბრუნვის მოცულობა ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით, რომელიც აუცილებელია მატერიალურ - ტექნიკური რესურსების, სხვა მაჩვენებლებისა და ნორმატივების გაანგარიშებისათვის, აგრეთვე ტვირთის გადაზიდვის (გაგზავნის) მოცულობა ტონობით პირდაპირ შერეულ მიმოსვლაში, ხელის შრომის შემცირების დავალება სსრ კავშირის სატრანსპორტო სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის (საერთო სარგებლობის სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის ხაზით), ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატუმბი მაგისტრალური მილსადენების მუშაობის მოცულობა, გზათა სამინისტროს დარგთშორისი სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის (გაგზავნის) მოცულობა ტონობით, სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დრო გზათა სამინისტროსათვის (ხუთწლიანი და წლიური გეგმებით) და ექსპორტ-იმპორტის ტვირთის გადაზიდვის საერთო მოცულობა გზათა სამინისტროსა და საზღვაო ფლოტის სამინისტროსათვის (წლიური გეგმებით) დაევალა დაამტკიცოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ხუთწლიან და წლიურ გეგმებში საერთო სარგებლობის სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის მართვის რესპუბლიკურ ორგანოებს უწესებენ შრომისა და სოციალური განვითარების, ფინანსებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის მაჩვენებლებს, აგრეთვე შესაბამისად სამდინარო ტრანსპორტის მგზავრთბრუნვის მოცულობას და საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მგზავრთბრუნვის მოცულობას საქალაქო მიმოსვლაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ხუთწლიან და წლიურ გეგმებში უმტკიცებენ ტვირთის დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით გადაზიდვის (გაგზავნის) მოცულობას ტონობით საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტის მართვის რესპუბლიკურ ორგანოებს და ტვირთის გადაზიდვის (გაგზავნის) მოცულობას ტონობით საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მართვის რესპუბლიკურ ორგანოებს ტვირთის გამგზავნი სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სახალხო მეურნეობის სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი, დადგენილებით საჭიროდ არის მიჩნეული, რომ სსრ კავშირის სატრანსპორტო სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა (საერთო სარგებლობის სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის ხაზით) ხუთწლიანი გეგმების პროექტების შემუშავებისას გადასინჯონ ხოლმე ტვირთის მიტანის ნორმატიული ვადები და შეამცირონ ისინი.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება დაკავშირებულია სახალხო მეურნეობაში სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებასა და სატრანსპორტო-ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებასთან. ამ საკითხებზე დადგენილებით განსაზღვრულია კონკრეტული დავალებანი.

სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადება მიეცა 1984 წლიდან დაწყებული დაუმტკიცოს „საქმთავარმარაგგასაღების" ორგანიზაციებს, რომლებიც ანაზღაურებენ იმ პროდუქციის მიწოდების სატრანსპორტო ხარჯებს, რომელზეც დანიშნულების ფრანკო-სადგურის ფასებია დაწესებული, — ტვირთის გადაზიდვის სატრანსპორტო ხარჯების მოცულობა, ამასთან გაითვალისწინოს, რომ აღნიშნულ ორგანიზაციათა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ანარიცხები დამოკიდებული უნდა იყოს ამ ხარჯების შემცირებაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალათ მოაწყონ, 1985 წლიდან დაწყებული, სახალხო მეურნეობაში სატრანსპორტო ხარჯების აღრიცხვა და დაგეგმვა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ სატრანსპორტო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი სრულყოფა, არარაციონალური გადაზიდვის მოცულობის შემცირება, ახალ სახეობათა ტრანსპორტის დანერგვა, გადაზიდვა-გადაყვანის ეკონომიკურად დასაბუთებული განაწილება ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით, გადაზიდვა-გადაყვანის პროცესის ორგანიზაციის სრულყოფა ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციათა საუკეთესო კოლექტივების მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვის საფუძველზე.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს შრომითი კოლექტივების დაინტერესება შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებით და შემცირდეს კადრების დენადობა ტრანსპორტზე, გათვალისწინებულია გაძლიერდეს ყოველი მუშაკისა და მთლიანად შრომითი კოლექტივების ხელფასის დამოკიდებულება შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებაზე.

ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ უფლება უხადონ დაწესებულ ხელფასის ფონდთან ან ხელფასის ნორმატივთან შედარებით მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომიის სახსრებიდან სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების სართი (დანამატი):

განსაკუთრებით პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაქმებულ კვალიფიციურ მუშებს მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის — ეტაპობრივად (საწარმოში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟის გათვალისწინებით) მინიჭებული თანრიგის (სარგოს) სატარიფო განაკვეთის 4,8 და 12 პროცენტის ოდენობით;

ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და, უწინარეს ყოვლისა, ოსტატებს, აგრეთვე მოსამსახურეებს მაღალი კვალიფიკაციისათვის — სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციათა ხელფასის ფონდის ერთი პროცენტის ფარგლებში, ხოლო სპეციალისტებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობასთან (სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით სატრანსპორტო სამინისტროებისა და უწყებების მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით), ტექნოლოგებსა და კონსტრუქტორებს — სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით.

აღნიშნული სართი გაუქმდება მუშაობის მაჩვენებლების გაუარესების შემთხვევაში.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს უფლება მიეცა ნება დართოს, საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, სატრანსპორტო სამინისტროებსა და უწყებებს დააწესონ 20 პროცენტამდე გადიდებული ფასდებანი წარმოების გადამწყვეტ უბნებზე პროგრესული, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების მიხედვით მუშაობისათვის და გაადიდონ საჭიროებათა შემთხვევებში ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით დაწესებული პრემიების მაქსიმალური ოდენობა, რომელიც მუშებს ეძლევათ ხელფასის ფონდიდან.

სსრ კავშირის სატრანსპორტო სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ სამეურნეო ანგარიშის განვითარება მართვის ყველა დონეზე.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდები შეიქმნება ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების კვალობაზე.

ხუთწლიანი გეგმით (წლების მიხედვით განაწილებული) და წლიური გეგმებით დაწესებული წახალისების ფონდების კორექტირება ხდება შესაბამის სახეობათა ტრანსპორტისათვის დადგენილი შეფასებითი მაჩვენებლების შესრულების კვალობაზე.

თუ ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციები მიიღებენ და შეასრულებენ შემხვედრ გეგმებს, რომლებიც ხუთწლიანი გეგმის მორიგი წლის დავალებებს აღემატება, მათთვის გათვალისწინებულია ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ანარიცხები ამ გადამეტების გამო გადიდებული ნორმატივების მიხედვით.

ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციები მატერიალური წახალისების ფონდიდან და ხელფასის ფონდიდან პრემირების სახსრებს ახმარენ უწინარეს ყოვლისა, იმათ წახალისებას, ვინც გააუმჯობესებს ხარისხობრივ მაჩვენებლებს და შეასრულებს ტვირთის გადაზიდვის (გაგზავნის) გეგმას ტონობით, მათ შორის, დაწესებული ნომენკლატურის ტვირთისას, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების გათვალისწინებით.

ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირთა კომიტეტებთან ერთად. წარმოების განვითარების, აგრეთვე სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, საბინაო მშენებლობისა და მატერიალური წახალისებისათვის სახსრების გამოყენების საკითხთა განხილვა-გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობენ შრომითი კოლექტივები.

აღნიშნული ფონდების სახსრები გამოიყენება ზუსტად მიზნობრივი დანიშნულებისამებრ. ფონდების გამოუყენებელი ნაშთები გადადის მომდევნო წლისათვის და ამოღებას არ ექვემდებარება.

დადგენილება ავალებს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით შეიტანოს სსრ კავშირის შესაბამისი სატრანსპორტო სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებათა მიხედვით ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებაში, ხოლო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ — შესაბამისად საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და საკავშირო პროფსაბჭოს დაევალათ სატრანსპორტო სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით უზრუნველყონ, რომ შემუშავდეს მთელი რიგი ნორმატიული აქტები და განხორციელდეს სათანადო მოსამზადებელი მუშაობა ამ დადგენილებით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად.

ორბიტის ახალი ამბები

ფრენის მართვის ცენტრი, 14 დეკემბერი. (საქდესი). დღეს დამთავრდა 1982 წლის 31 ოქტომბერს დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაშვებული „პროგრეს-16" ავტომატური სატრანსპორტო ხომალდის ფრენა. ფრენის მართვის ცენტრიდან მიღებული კომანდებით ხომალდის ორიენტაცია მოხდა სივრცეში, ხოლო მოსკოვის დროით 20 საათსა და 17 წუთზე ჩაირთო მისი ძრავის დანადგარი. დამუხრუჭების შედეგად „პროგრეს-16" ხომალდი დაშვების ტრაექტორიაზე გადავიდა, შევიდა ატმოსფეროს მკვრივ ფენებში წყნარი ოკეანის დასახულ რაიონში და არსებობა შეწყვიტა.

„სალუტ-7" ავტომატური რეჟიმით განაგრძობს ფრენას.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ყურადღების ობიექტია კოსმოსი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ამ დღეებში მასპინძლობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს — კოსმოსური ელექტროდინამიკის თეორიული პრობლემების საერთაშორისო თათბირის მონაწილეებს.

ამ მეცნიერული მიმართულების აქტუალურ საკითხებზე აზრს გამოთქვამს ორმოცდაათზე მეტი საბჭოთა და საზღვარგარეთელი ასტროფიზიკოსი, მათ შორის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი რ. საგდეევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. რიუტოვი, პროფესორები ჯ. საკაი (უნგრეთი), ი. ბიუხნერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მ. შკორიჩი (იუგოსლავია), ფ. მიშელი (ამერიკის შეერთებული შტატები), ტ. ონუმა (იაპონია) და სხვა თვალსაჩინო მეცნიერები.

— სამუშაო თათბირი თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი ფორმაა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ჯ. ლომინაძემ — მისი წარმომადგენლობითი ხასიათი აიხსნება იმით, რომ საჭიროა გავაერთიანოთ მეცადინეობა პლაზმური ასტროფიზიკის, პულსარების თეორიის, დედამიწისა და პლანეტების მაგნიტოსფეროს დარგში განსახილველი პრობლემების გამოკვლევაში.

შემთხვევითი არ არის, რომ აბასთუმანი თათბირის მოწყობის ადგილად აირჩიეს. ბოლო დროს აქ წარმატებით იკვლევენ პულსარებისა და სხვა კოსმოსური ობიექტების შესწავლის პლაზმურ მექანიზმს, რაც ასტროფიზიკოსთა დიდ ინტერესს იწვევს.

თათბირი 22 დეკემბრამდე გაგრძელდება. (საქინფორმი).

გზათა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა

18 დეკემბერს გაიმართა გზათა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ რკინიგზების, მეტროპოლიტენების, სამრეწველო და სარკინიგზო ტრანსპორტის გაერთიანებების უფროსები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტების თავმჯდომარენი.

მოხსენება რკინიგზის ტრანსპორტზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის გზათა მინისტრმა ნ. ს. კონარევმა. კოლეგიის სხდომაზე გააანალიზეს რკინიგზის ტრანსპორტის საქმეთა ვითარება, განიხილეს იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები, რომლებიც პლენუმზე აღინიშნა, დასახეს ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრის გზები. საგანგებოდ აღინიშნა, რომ საჭიროა ყველა საწარმოსა და ქვეგანაყოფის კოლექტივების, ყველა სამსახურის რკინიგზელების ძალისხმევის კონცენტრაცია და გაერთიანება, რათა წარმატებით შესრულდეს გადაზიდვა-გადაყვანის გეგმები, ამაღლდეს მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, მაქსიმალურად გამოიყენებოდეს შიდასამეურნეო რეზერვები.

დიდი ყურადღება დაეთმო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, პროგრესული ტექნოლოგიისა და წარმოების ორგანიზაციის, მოწინავე გამოცდილების დანერგვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა ყოველმხრივი მზრუნველობა რკინიგზელთა კადრების, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ი. დოლგიხმა.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ა. ალიევი, სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი ი. დ. სოსნოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ი. დავიდოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ე. ბირიუკოვი, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილე ე. პ. ჟევაგო, სარკინიგზო ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ი. კოვალიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

კოლეგიამ მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა, წარმატებით შესრულდეს მიმდინარე წლის დეკემბრის დავალებები და უზრუნველყოფილ იქნეს გადაზიდვა-გადაყვანის 1983 წლის გეგმის უცილობელი შესრულება.

კოლეგიამ გამოთქვა რწმენა, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიური მზრუნველობის პასუხად რკინიგზელები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას და მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნას, გამოცდილებას მოახმარენ საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეს, თავიანთ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად გაშლილ საყოველთაოსახალხო ბრძოლას.

(საქდესი).

საქმემ გამოარჩინა

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დამაჯერებელ შედეგებს აღწევს. მთლიანი პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა მკერავებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს. ამას ხელი შეუწყო რეზერვების ძიება-გამოვლენამ, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფამ და შრომის დისციპლინის განმტკიცებამ. საწარმოში დამზადებულ მრავალი სახეობის პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ამშვენებს.

შრომით მეტოქეობაში დაწინაურდა ათობით მკერავი. მათ შორის გახლავთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნუნუ ლორია.

სურათზე: ნუნუ ლორია.
თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მთელი ძალები და რესურსები — ობიექტების ასამოქმედებლად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირზე განიხილეს რესპუბლიკის სამშენებლო და სამონტაჟო ქვეგანაყოფების მუშაობის მიმდინარე წლის თერთმეტი თვის შედეგები, ხუთწლედის მეორე წლის გეგმების უთუო შესრულების ამოცანები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სამერმისო პერსპექტივები. ინფორმაციები გააკეთეს სამშენებლო, სასოფლო მშენებლობის სამინისტროების, ამიერკავკასიის „ტრანსმშენის", „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" წარმომადგენლებმა, პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს მშენებლებს გარკვეულ წარმატებებთან ერთად მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევებიც აქვთ. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მთელმა რიგმა სამშენებლო სამმართველოებმა ვერ შეასრულეს ვერც გენერალური იჯარის, ვერც საკუთარი ძალებით მშენებლობის გეგმები, შეამცირეს სამუშაოთა ტემპი გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

გასაუმჯობესებელია სამშენებლო სამინისტროს საქმიანობა. თუ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ქალაქებში ქუთაისში, რუსთავში გაწეულია დიდი მუშაობა უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ ობიექტებზე, საბინაო-სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობაზე მატერიალური და შრომითი რესურსების კონცენტრაციისათვის, რაც საშუალებას იძლევა ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა, ამას ვერ ვიტყვით აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ, სადაც კაპიტალური დაბანდებანი მხოლოდ 62-65 პროცენტით აითვისეს.

პარტიის საოლქო კომიტეტებს არაერთხელ განუსაზღვრიათ ბრიგადების მშენებლობის უმნიშვნელოვანეს და ასამოქმედებელ ობიექტებზე ძალებისა და სახსრების კონცენტრაციის ღონისძიებანი, მაგრამ სამშენებლო ტრესტების ხელმძღვანელობას, პარტიულ ორგანიზაციებს არ გაუწევიათ ჯეროვანი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა შრომით კოლექტივებში, არ დაურაზმიათ ისინი დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად. ტრესტების სუსტი მუშაობის ერთ-ერთი მიზეზია სამშენებლო პროცესის ორგანიზაციის ჯერ კიდევ დაბალი დონე.

სამეურნეო ხელმძღვანელები, მთელი რიგი ქალაქების, რაიონების პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმარისად არ რაზმავენ მშრომელებს შინაგანი რეზერვებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების შესაძლებლობათა გამოვლენისა და კიდევ უფრო სრული გამოყენებისათვის, სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მატერიალური და სანედლეულო რესურსების დაზოგვისათვის, ვერ მიაღწიეს იმას, რომ ყველა ცვლასა და ბრიგადას ემუშავა რიტმულად, ხოლო სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა სიმძლავრეები ეფექტიანად გამოეყენებინათ. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი წუნი და სხვადასხვაგვარი ხარვეზები, რომლებიც აქვეითებს მუშაობის ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

თათბირზე მოიყვანეს მაგალითები, რომლებიც მოწმობს თავიანთი მოვალეობისადმი სამშენებლო ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, რომელთა მიზეზითაც ცალკეული სამედიცინო დაწესებულებანი, სკოლები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები წლის მანძილზე არ გადაეცემულა საექსპლოატაციოდ.

თათბირზე გააკრიტიკეს შტაბებისა და ჯგუფების მუშაობა, რომლებიც შეიქმნა უმნიშვნელოვანესი და ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის. პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი საბჭოების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, რომლებიც მიმაგრებული არიან ობიექტებზე, სუსტად უწევენ კონტროლს მშენებლობის მიმდინარეობას, არ შეიმუშავეს ასამოქმედებელ ობიექტებზე კონტროლისა და საქმის ვითარების შესახებ ინფორმაციის საქაოდ ქმედითი სისტემა.

თათბირზე მოწვეულ ყველა ხელმძღვანელს დაუსახეს ამოცანები წლის დამლევამდე დარჩენილი დროისათვის. აღინიშნა, რომ საჭიროა ამაღლონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამუშაო ჯგუფების დამრაზმველი როლი. უნდა დაინერგოს ტრესტების, სამმართველოების ხელმძღვანელ კომუნისტთა ანგარიშები პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების ბიუროებზე, პარტიულ კრებებზე.

მთავარი, რასაც უნდა მოხმარდეს მთელი მეცადინეობა, რათა დაძლიონ ჩამორჩენა, არის ის, რომ მატერიალური და შრომითი რესურსებით უზრუნველყონ მშენებლობანი, სრულყონ ეკონომიკური სამსახურების მუშაობა, განამტკიცონ დისციპლინა, აამაღლონ ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

პარტიული ცხოვრება: საოლქო კომიტეტების პლენუმებზე

რეზერვები — ხუთწლედის სამსახურში

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. მისმა მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. ვ. ადლეიბას მოხსენება — „1983 წელს ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებებიდან". მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორების უფრო სრული გამოყენების, ხარისხობრივი მაჩვენებლების, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევის საკითხებს.

მოხსენებასა და გამოსვლებში საფუძვლიანად გააანალიზეს როგორც წარმატებები, ისე ნაკლოვანებანი. მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, იმ რაიონების ხელმძღვანელები, რომლებიც საკმარისად არ ზრუნავენ საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

პლენუმმა მოისმინა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ი. ს. ქაჯაიას მოხსენება „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ" და აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრის დ. მ. ჯიქონაიას მოხსენება „აფხაზეთის ასსრ 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ".

პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებებში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს 1983 წელს და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის განხორციელებას.

კომუნისტების მაღალი მოვალეობა

— **მტკიცე** მისწრაფებამ — განახორციელონ პარტიის წინასწარდასახულობანი, განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შინაარსი, რომლის მონაწილეებმა განიხილეს 1983 წელს ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში აჭარის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებსაც საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. რ. პაპუნიძის მოხსენებაში, ორატორთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით აჭარის სახალხო მეურნეობა კარგი შედეგებით ამთავრებს ხუთწლედის მეორე წელს, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს.

ამასთან, ითქვა პლენუმზე, ბოლო რამდენიმე წელიწადში შეინიშნება ხორცის, რძის, სხვა პროდუქტების თვითღირებულების ზრდა. ყველგან უნდა მოგვარდეს ჩაის ფოთლის უტარო გადაზიდვა, გაგრძელდეს მუშაობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ახლა მთავარია, რომ ყოველ შრომით კოლექტივში შეიქმნას ურთიერთმომთხოვნელობის, დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის, ხაკლოვანებებისადმი, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარი დარღვევისადმი შეუწყნარებლობის ვითარება.

პლენუმმა ძირითადად მოიწონა აჭარის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმისა და აჭარის ასსრ 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, გამოითქვა რეკომენდაცია — შეიტანონ ისინი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

დისციპლინის განმტკიცების გზით

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საოლქო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები.

მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა, აგრეთვე კამათის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ოლქის სამრეწველო საწარმოებმა 102,5 პროცენტით შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის 11 თვის გეგმა, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა — 103 პროცენტით. როგორც ადგილებზე, ისე ყიზლარის საძოვრებზე ორგანიზებულად აზამთრებენ პირუტყვს მეცხოველები. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროს მუშაკებმა.

მაგრამ პლენუმზე უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, იმ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომლებიც აბრკოლებს საქმეს სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში. ჯერ კიდევ მთლიანი დატვირთვით ვერ მუშაობს ბევრი სამრეწველო საწარმო, ნაკლებია ფონდუკუგება, ყველგან როდია მექანიზებული შრომატევადი პროცესები, არის დანაკარგები. ზოგი სამშენებლო ორგანიზაცია, მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ცხინვალმშენის" № 11 ტრესტი სისტემატურად ფუშავს საწარმოო და სოციალური დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გრაფიკს.

პლენუმის მონაწილეებმა მოითხოვეს მკაცრად მოჰკითხონ კონკრეტულ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული სამუშაო უბნებისათვის, ყველგან დაიცვან მომჭირნეობის რეჟიმი, განამტკიცონ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა.

პლენუმმა ძირითადად მოიწონა ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, დაამტკიცა კონკრეტული ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის. („კომუნისტის" კორ.).

როგორ წამოვწიოთ დარგი

მოსკოვის კარტოფილსაცავებში შენახვის დროს პროდუქციის ათი პროცენტი იკარგება. ეს დიდი დანაკარგია. რა არის ამის მიზეზი? გარდა იმისა, რომ არ ჰყოფნით საცავები, სუსტია არსებული ტექნიკური აღჭურვილობა. ამჟამად ქვეყნის ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს აქვს 5.600 ათასი ტონა საერთო მოცულობის საცავები, მათ შორის 1.580 ათასი ტონა გაცივებით. ეს მოთხოვნის 39 პროცენტზე ცოტა მეტია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების მოთხოვნილებათა მიხედვით დარგის შემდგომი განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის, ითქვა საკავშირო თათბირ-სემინარზე, რომელიც თბილისში გაიმართა, უკვე მიმდინარე წლის დამლევისათვის საჭირო გახდება მწყობრში ჩადგეს დამატებითი სიმძლავრეები 2.050 ათასი ტონა პროდუქციის შესანახად, მათ შორის 1.470 ათასი ტონისა გაცივებით.

პრობლემის გადაჭრას ხელს შეუწყობს ამ ობიექტების აგება ხილისა და ბოსტნეულის უშუალო წარმოების ადგილებში. ინტენსიფიკაციის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების გადამწყვეტი რგოლია, ხაზგასმით ითქვა თათბირ-სემინარზე, კადრები, რომლებსაც უნარი შესწევთ საქმე წარმართონ მაღალორგანიზებულად, მეცნიერულ საფუძველზე. ამასთან ერთად სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს მრავალი ათასი მუშაკიდან უმაღლესი განათლება აქვს მხოლოდ 28,7 პროცენტს, საშუალო სპეციალური განათლება — 46,6 პროცენტს, დანარჩენები პრაქტიკოსები არიან.

ყველაზე უფრო არასახარბიელო მდგომარეობაა ვაჭრობაში, სადაც ყოველ მეოთხე ხელმძღვანელს და მთავარ სპეციალისტს არა აქვს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება.

საჭიროა ჩვენს რესპუბლიკაში გაუმჯობესდეს მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. თუ ასეთი მუშაობა გეგმაზომიერად წარმოებს აჭარის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გაერთიანებაში, ამას ვერ ვიტყვით ქუთაისის აგროსამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებაზე, სადაც ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში სერიოზული შეცდომებია დაშვებული. კადრებთან მუშაობაში არსებული შეცდომები და ხარვეზები უარყოფით გავლენას ახდენს მთელი გაერთიანების მუშაობაზე.

კადრების საკითხების პრინციპულ გადაწყვეტას დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროში. შემუშავებულია პერსპექტიული გეგმა, რომლის თანახმად რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები ყოველწლიურად დარგისათვის მოამზადებენ ათასზე მეტ კვალიფიციურ სპეციალისტს.

კადრების კომპეტენტურობის ამაღლებისადმი დიდი ყურადღება დადებით შედეგებს იძლევა. მაგალითად, წელს საკავშირო ფონდში შარშანდელთან შედარებით უფრო მეტი კარტოფილი და ხილი გაიგზავნა. შარშანდელთან შედარებით უკეთესად მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის ხილბოსტნეულის პროდუქციის მიყიდვა: დამზადებულია მეტი — კარტოფილი — 7 ათასი ტონა, ბოსტნეული — 9,6 ათასი ტონა, ხილი — 4 ათასი ტონა. ყოველგვარი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მიმდინარე სეზონში უეჭველად შესრულდეს სოფლის მეურნეობის ყველა სახეობის პროდუქციის დამზადების დავალება.

სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ი. ი. ხოლოდის, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსის ლ. ე. შარაშენიძისა და თათბირ-სემინარის სხვა მონაწილეთა მოხსენებებში აღინიშნა, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს დარგის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში მისი წვლილის გადიდებისათვის.

თათბირ-სემინარის მონაწილეები გაეცნენ საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს კოლექტივების მუშაობას, იყვნენ საკონსერვო მრეწველობის გორის აგრარულ-საწარმოო გაერთიანებაში.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

(საქინფორმი)

ინტერნაციონალური მეგობრობის დღეები

ქუთაისი. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად აქ მიმდინარეობს ინტერნაციონალური მეგობრობის დღეები, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, ხარკოვის, ერევნის, ტალინის, რიგის, ლენინაკანის, კიროვაბადის, ქვეყნის სხვა ქალაქების, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები.

დღეების მონაწილენი შეხვდებიან კინოსტუდია „ქართული ფილმის" შემოქმედებით კოლექტივს, დაათვალიერებენ მუზეუმს, ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობებს. შრომითი დიდების მემორიალთან გაიმართება ინტერნაციონალური მეგობრობის მიტინგი, ცალკეული საწარმოო კოლექტივები გააფორმებენ ხელშეკრულებებს მომავალი წლის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

ქუთაისის სტუმრები ყვავილებით შეამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლსა და საბრძოლო დიდების მემორიალს, შეხვდებიან პიონერთა სასახლის აღსაზრდელებს. მეგობრობის დღესასწაულის მონაწილეებს მიიღებენ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში.

ინტერნაციონალური მეგობრობის დღეები დამთავრდება სადღესასწაულო საღამოთი ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

საზღვარგარეთის ქვეყნებთან რესპუბლიკის ეკონომიკური კავშირის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ამხ. რაფიელ სიმონის ძე **ელიგულაშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანოებში, უმაღლეს სასწავლებლებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ლორიკ ბესარიონის ძე **მარშანია** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ქართული ლენინიანას შენაძენი

დღემდე ჩვენს ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში ცნობილი არ იყო ვ. ი. ლენინის ბროშურის „რევოლუციური ავანტიურიზმის“ ქართულ ენაზე თარგმანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ზ. გეგეშიძემ პირველმა მიაკვლია მას. იგი აღმოჩნდა ლენინგრადში სსრ კავშირის ხალხთა სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის საქართველოს სს რესპუბლიკის განყოფილების ექსპოზიციაში.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამდე საქართველოში ვ. ი. ლენინის ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნის, გამოცემისა და გავრცელების საკითხზე მეცნიერმა ისტორიკოსებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს, ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი კვლავ გულდასმით კვლევა-ძიებასა და შესწავლას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ ზ. გეგეშიძის წერილს.

ჯერჯერობით ქართულ ენაზე თარგმნილ ვ. ი. ლენინის პირველ ნაშრომად ბროშურის „სიტყვები ნიჟნი ნოვგოროდელი მუშებისა, თქმული სასამართლოს წინაშე“ წინასიტყვაობა ითვლება. ეს ბროშურა ითარგმნა და დაახლოებით 1903 წლის დამდეგს პარტიის II ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტის ბაქოს არალეგალურ სტამბაში — „ნინაში“ დაიბეჭდა, ხოლო ამავე წლის 26 თებერვალს თბილისში გავრცელდა. მასში გადმოცემულია 1902 წლის 1 და 5 მაისს ნიჟნი ნოვგოროდში გამართულ დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის სამართალში მიცემულ მუშათა სიტყვები, რომლებიც 1902 წლის 28-31 ოქტომბერს წარმოთქვეს მათ მეფის სასამართლოს წინაშე. მუშებმა დაუფარავად აღიარეს, რომ შეგნებულად დაადგნენ ცარიზმის მოსპობის ბრძოლის გზას. რსდმპ ნიჟნი ნოვგოროდის კომიტეტმა ეს სიტყვები ცალკე ფურცლად გამოსცა. შემდეგ კი 1902 წლის 1 დეკემბერს „ისკრაში“ დაიბეჭდა სახელწოდებით — „ნიჟნი ნოვგოროდელი მუშები გასამართლებაზე“; მას დაურთეს ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა.

ვ. ი. ლენინი მუშათა ამ სიტყვებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი წერდა: „...ამხანაგების მაგალითი, რომლებმაც გმირულად დაიცვეს გასამართლებაზე თავიანთი საბრძოლო ყიჟინა: „ძირს თვითმპყრობელობა!“ აღაფრთოვანებს რუსეთის მთელ მუშათა კლასს ასეთივე გმირული და გადამწყვეტი ბრძოლის გასაჩაღებლად მთელი ხალხის თავისუფლებისათვის, ნათელი სოციალისტური მომავლისაკენ განუხრელი მუშური მოძრაობის თავისუფლებისათვის“.

როგორც ცნობილია ვ. ი. ლენინის სტატია „რევოლუციური ავანტიურიზმი“ 1902 წელს გაზეთ „ისკრის“ 1 აგვისტოსა და 1 სექტემბრის 23 და 24 ნომრებში გამოქვეყნდა. იმავე წლის სექტემბრის მეორე ნახევარში დასახელებული სტატიის ანაბეჭდი „ისკრის“ რედაქციამ ცალკე ბროშურად გამოსცა. იგი რუსეთში ფართოდ გავრცელდა.

ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომში წვრილბურჟუაზიული პარტიის სოციალისტ-რევოლუციონერ ე ბ ი ს (ესერების) პროგრამა და ტაქტიკა საფუძვლიანად გააკრიტიკა. ეს პარტია ხელს უშლიდა მუშათა შეკავშირებას, აშორებდა მათ რევოლუციურ მოძრაობას. მიწების „სოციალიზაციის“ პროგრამას გლეხები შეცდომაში შეჰყავდა. სოციალისტ-რევოლუციონერებს პოლიტიკური ბრძოლის ძირითად საშუალებად მიაჩნდათ ინდივიდუალური ტერორი.

ვ. ი. ლენინი ნაშრომში „რევოლუციური ავანტიურიზმი“ აღნიშნავდა: „...ახლანდელი ტერორისტები არიან ნამდვილი ეკონომისტები პირუკუღმა, რამდენადაც ისინი ვარდებიან ასევე არაგონივრულ, მაგრამ წინააღმდეგს უკიდურესობაში“. ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ არ გატაცებულიყვნენ ინდივიდუალური ტერორით, რასაც შეეძლო დეზორგანიზაცია შეეტანა არა მთავრობის არამედ რევოლუციურ ძალებში.

ლენინის ნაშრომი „რევოლუციური ავანტიურიზმი“ მოიწონა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების უმრავლესობამ. ამ ნაშრომმა დიდი დახმარება გაუწია ისკრელებს სოციალისტ-რევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ქართველ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს ვ. ი. ლენინის ნაშრომი „რევოლუციური ავანტიურიზმი“ ქართულ ენაზე უთარგმნიათ და სტამბური წესით გამოუციათ. ლენინგრადში სსრ კავშირის ხალხთა სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის საქართველოს სსრ განყოფილების ექსპოზიციაში მივაკვლიეთ ამ ნაშრომის ქართულ ენაზე თარგმნილ ნაწილს 1-14 გვერდამდე. მაგრამ ამ ბროშურის სრული ტექსტი მისაკვლევია. **დასადგენია მისი თარგმნის, გამოცემის თარიღი და დაბეჭდვის ადგილი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მეცნიერ თანამშრომელთ ვალად გვაძევს განვაგრძოთ მუშაობა ვ. ი. ლენინის უკვდავი ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნის, გამოცემისა და გავრცელების საკითხის შესასწავლად.

ზ. გეგეშიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ჟურნალების ახალი ნომრები

„პარტიული სიტყვა“
№ 22

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური ...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

სათაურით „საქართველოს სოფ- ...

„საქართველოს ქალი“
№ 11

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 11

საერთაშორისო
დღეების ზურნალი
სახორცო

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

15 დეკემბერი

ახალი გამარჯვება კოსმოსში

„სალუტ-7“ ორბიტული სადგურით საბჭოთა კოსმონავტების ხანგრძლივმა წარმატებულმა მუშაობამ თვალნათლივ ცხადყო საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის გაზრდილი შესაძლებლობანი — ასეთი დასკვნა გამოაქვთ საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებსა და სპეციალისტებს, რომლებიც განმარტავენ კოსმონავტების ანატოლი ბერეზოვოისა და ვალენტინ ლებედევის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი 211-დღეღამის ფრენის წარმატებით დამთავრებას. ისინი აღნიშნავენ ფრენის შედეგების დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) წერს, რომ საბჭოთა კოსმონავტების ხანგრძლივობით რეკორდულმა და ბევრი მეცნიერული გამოკვლევითა და ექსპერიმენტით აღსავსე წარმატებულმა ფრენამ უამრავი ახალი მონაცემი მისცა მეცნიერებსა და სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ მეცნიერებისა და ტექნიკის სრულიად სხვადასხვა დარგებში. საბჭოთა კოსმონავტების ახალმა რეკორდულმა ფრენამ კიდევ ერთხელ ცხადყო შეუფერხებლად მოქმედი საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის განვითარების მაღალი დონე, ხაზს უსვამს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“.

საბჭოთა კოსმონავტებმა, წერს რომის გაზეთი „კორიერე დელა სერა“ „სალუტ-7“ — „სოიუზ“ ორბიტული კომპლექსით 211 დღე-ღამის ფრენის მანძილზე შეასრულეს სამედიცინო-ბიოლოგიური, გეოფიზიკური, ასტროფიზიკური, ტექნიკური და ტექნოლოგიური ექსპერიმენტების დიდი კომპლექსი. მეორე იტალიური გაზეთი „უნიტა“ საბჭოთა კოსმონავტების ფრენას უწოდებს ტრიუმფს პირველიდან ბოლო წუთამდე.

საბჭოთა კოსმოსურმა ოდისეამ, ხაზს უსვამს იაპონიის გაზეთი „ასაჰი“, მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ სსრ კავშირი გულდაჯერებით მიდის მიზნისკენ — შექმნას კოსმოსური სადგურები და მოაწყოს საპლანეტათაშორისო პილოტირებული ფრენები.

საბჭოთა კოსმონავტის პრეს-კონფერენცია

პარიზი. იუნესკოს შტაბ-ბინაში მიმდინარე საბჭოთა კავშირის დღეებში გაიმართა საბჭოთა კოსმონავტის ს. სავიცკაიას პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე პირველი ფრანგი კოსმონავტი ჟ.-ლ. კრეტიენი და მისი დუბლიორი პ. ბოდრი. მათ ილაპარაკეს „სალუტ-7“ — „სოიუზ ტ“ საბჭოთა ორბი- ...

ექლვნება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს

მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა

პარიზი. იუნესკოს შტაბ-ბინაში დაიწყო საბჭოთა კავშირის დღეები, რომლებიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ფართო დარბაზებში მნახველები ინტერესით ეცნობიან გამოფენას „განათლება, მეცნიერება და კულტურა სსრ კავშირში 60 წლის მანძილზე“, რომელიც ასახავს ამ დარგებში ჩვენი ქვეყნის შთამბეჭდავ მიღწევებს. მნახველთა ყურადღებას იპყრობს ისეთი ექსპოზიციები, როგორიცაა „ბურიატეთის ტრადიციული ხელოვნება“, „სსრ კავშირის ხალხთა თოჯინები“, „რუსული ენა მსოფლიოში“, საბჭოთა, უკრაინული, ბელორუსული წიგნების გამოფენები.

საბჭოთა კავშირის დღეების გახსნაზე იუნესკოში სიტყვა წარმოთქვა ამ საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ა. მ. მ'ბოუმ, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა ხალხის მიღწევები მეცნიერებაში, კულტურაში, განათლებაში. იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ხაზი გაუსვა, რომ ეს მიღწევები ყველაზე მკაფიოდ აისახა საბჭოთა კოსმონავტიკის განვითარებაში.

ა. მ. მ'ბოუმ გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის დღეები დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ხალხთა შორის ურთიერთგაგების გაფართოებისა და დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ბონი. საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტია კაცობრიობის უახლეს ისტორიაში. ამ თარიღს საბჭოთა ადამიანებთან ერთად საზეიმოდ აღნიშნავს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, ვინც დაუცხრომლად იბრძვის დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის იდეალების გამარჯვებისათვის. ეს სახელოვანი იუბილე დღესასწაულია დასავლეთ გერმანელ კომუნისტთათვისაც, რომლებსაც ლენინის პარტია და მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფო პლანეტაზე მშვიდობის დედაბოძად მიაჩნიათ. ეს განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის წევრმა გუსტავ ტრამბოვსკიმ.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვუკავშირებთ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მრავალრიცხოვან კონკრეტულ ინიციატივებსა და წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის დაცვა და უზრუნველყოფა, ომის საფრთხის ლიკვიდაცია, განიარაღება. ეს პოლიტიკა გამსჭვალულია ღრმა რეალიზმით, იგი შეესაბამება ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს, ხაზი გაუსვა გ. ტრამბოვსკიმ.

მშვიდობისმოყვარულობა ახასიათებს სოციალისტურ წყობილების თვით არსს, რომელშიც არ არის ისეთი კლასი ან სოციალური ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია მოგება მიიღოს დაჩქარებული გამალებული შეიარაღების გზით. სოციალიზმს ახასიათებს ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. სწორედ ამიტომაც საბჭოთა სახელმწიფო თავისი დაარსების პირველი დღეებიდანვე მუდამ იბრძვის ადამიანის უმაღლესი უფლების — მშვიდობის პირობებში ცხოვრებისა და აღმშენებლობის უფლების უზრუნველყოფისათვის, თქვა გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის წევრმა.

აღვნიშნავთ რა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს, ჩვენ ვააქტიურებთ ბრძოლას მშვიდობისა და განიარაღების მხარდასაჭერად, ნატოს ავბედითი გეგმების რეალიზაციის წინააღმდეგ. ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე ამერიკის შეერთებული შტატების არაკონსტრუქციული პოზიცია ოპტიმიზმის საბაბს არ იძლევა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სრულიადაც არ სურს პატიოსანი მოლაპარაკება, და განზრახული აქვს მხოლოდ დრო მოიგოს იმისათვის, რომ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრიობა, საშუალო სიშორის უახლესი რაკეტულ-ბირთვული საშუალებებით დაჭსელოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დასავლეთ ევროპის მთელი რიგი სხვა ქვეყნების ტერიტორია.

ეს დამატებით ამოცანებს აკისრებს მშვიდობის მომხრეთ. მეცადინეობის შეკავშირებით, საჭიროა ჩავფუშოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მხედრიონის სახიფათო ზრახვები. ევროპაში არ უნდა იყოს ამერიკული „პერშინგები“ და ფრთიანი რაკეტები. ჩვენ გვჭირდება უშიშროება განიარაღებისა და საქმიანი თანამშრომლობის საფუძველზე, ხაზგასმით აღნიშნა გ. ტრამბოვსკიმ.

ვენა. „საბჭოთა კავშირი 60 წლისაა“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ავსტრიის გაზეთმა „ფოლქსშტიმემ“ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს იუბილესადმი მიძღვნილი სპეციალური დამატება.

სსრ კავშირის შექმნა, წერს გაზეთი, ნიშნავს ახალი სახელმწიფო ფორმის შექმნას, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი გახდა სინამდვილეში განხორციელებულიყო ყველა ერისა და ეროვნების თანასწორუფლებიანი განვითარება სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესებისათვის. ამით განხორციელდა მარქსის- ტული დებულება იმის შესახებ, რომ მხოლოდ ერთა სრული თანასწორუფლებიანობა, ეროვნულ უმცირესობათა ყოველი ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პირობებში შესაძლებელი ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრება ...

დამატებაში დაწვრილებით არის ლაპარაკი მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის აყვავების, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეული უდიდესი წარმატებების შესახებ. გაზეთი ბეჭდავს ინტერვიუს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების თვალსაჩინო მეცნიერებთან, მწერლებთან, კულტურის მოღვაწეებთან, ავსტრიელ მოქალაქეთა სსრ კავშირში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

ბრაზილია. სსრ კავშირის შექმნა უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია კაცობრიობის საზოგადოების განვითარებაში, განაცხადა ბრაზილიის თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, ბრაზილიის დემოკრატიული მოძრაობის პარტიის ფრაქციის ლიდერმა ხენატში უმბერტო ლუსენამ. თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა კავშირში გაერთიანებულმა საბჭოთა ხალხმა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია თავის აღმშენებლობით საქმიანობაში, უწინარეს ყოვლისა მოწინავე ინდუსტრიის შექმნის დარგში. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი წლები ყველა დარგში სსრ კავშირის ახალი შთამბეჭდავი წარმატებების მოწმე გახდება.

ბერძენ კომუნისტთა ყრილობა

ათენი, 14 დეკემბერს, აქ გაიხსნა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობენ დაახლოებით ათასი დელეგატი, პარტიის ვეტერანები, საბერძნეთის კომუნისტური ახალგაზრდობის, ორმოცდაათზე მეტი მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები. რამდენიმე ათეულმა კომუნისტურმა პარტიამ ყრილობას მისასალმებელი წერილი გაუგზავნა.

ყრილობის მონაწილენი და სტუმრები მქუხარე ტაშით მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი მეთაურობს.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხ. ფლორაკისმა.

საბერძნეთის კომპარტიის XI ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია პარტიისა და საბერძნეთის მთელი დემოკრატიული მოძრაობის საქმიანობაში, დიდი მოვლენაა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნის უკვდავსაყოფად

სოფია. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ. მისი სახელი მიენიჭა კრემიკოვცის მეტალურგიულ კომბინატს, პომორიეს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსს. სოფიის რაიონ „ლიულინში“ მდებარე პოლიტექნიკურ სასწავლებელს, სოფიის მოედანს, პლოვდივის პარტიულ სკოლას, ქუჩებს პლევენსა და სტარა-ზაგორაში.

ზეგავლენას ახდენენ დანიაზე

ვაშინგტონი. შეერთებული შტატები აძლიერებს ზეგავლენას თავის დასავლეთევროპელ მოკავშირეებზე, ცდილობს მათ შეასრულებინოს ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის კონტინენტზე განლაგების გეგმები. ეს ცხადყო აქ გამართულმა პრეზიდენტ რ. რეიგანის, ვიცე-პრეზიდენტ ჯ. ბუშისა და თავდაცვის მინისტრის კ. უაინბერგერის მოლაპარაკებამ დანიის პრემიერ-მინისტრ პ. შლუტერთან.

როგორც კორესპონდენტებს ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა განუცხადა, ოფიციალურმა ვაშინგტონმა შლუტერს უთხრა, რომ „შეშფოთებულია“ დანიის პარლამენტის გადაწყვეტილებით უარი თქვას ნატოს ფარგლებში „პერშინგ-2“ და ფრთიანი რაკეტების განლაგებისათვის მზადების დაფინანსებაზე. შეერთებულ შტატებს ...

ფოტოინფორმაცია

გმობენ გამალებულ შეიარაღებას

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იტყობინება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. იარუზელსკიმ მიმდინარე წლის 8 დეკემბერს თავის გამოსვლაში ყურადღება მიაპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ჩარევა პოლონეთის საშინაო საქმეებში, ამავე დროს გააფრთხილა ამერიკის ადმინისტრაცია, რომ ამგვარი საქმიანობის განგრძობის შემთხვევაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება იძულებული იქნება განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი. ამერიკის ადმინისტრაციამ უგულებელყო ეს განცხადება, და უფრო მეტიც, აძლიერებს ღონისძიებებს პოლონეთის ინტერესებისა და სუვერენული უფლებების წინააღმდეგ. მათ შორისაა ამერიკის შეერთებული შტატების ... რიკის ხმისა“ და „თავისუფალი ევროპის“ გადაცემებში.

ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გამო და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 1982 წლის 12 დეკემბრის გამოსვლისას გაკეთებული განცხადების თანახმად, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა, გადასინჯოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის მოცულობა და წესი. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური სამსახურები მეცნიერულ და კულტურულ თანამშრომლობას განუწყვეტლივ ბოროტად იყენებენ სადაზვერვო-დივერსიული მიზნით, აღნიშნულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, პოლონეთის მხარე ...

კერძოდ, მიღებულია გადაწყვეტილება შეწყვიტონ ყველა ფორმის მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობა შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოსთან, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სხვა სამთავრობო სააგენტოსთან, რომლებიც ანტიპოლონურ საქმიანობას ეწევიან; შეამოწმონ მეცნიერული და კულტურული გაცვლის იმ ფორმებთან დაკავშირებული ყოველგვარი მიწვევის განხილვის სპეციალური წესი, რომლებიც შენარჩუნებული იქნება.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება შეაჩეროს ვიზების გაცემა შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოსა თუ მისი განყოფილებების ყველა წარმომადგენლისა თუ ...

შეიქმნა ირლანდიის ახალი მთავრობა

დუბლინი. ...

სურენ სპანდარიანის დაბადების მე-100 წლისთავისათვის

„დადექით ლენინის დროშის ქვეშ“

100 წლის წინათ თბილისში, ...

ᲘᲒᲘ იშვიათად ხვდება პრესის წარმომადგენლებს და ძალზე უხალისოდ ესაუბრება მათ. ამჯერად შეხვედრა აუცილებლად უნდა გამართულიყო და გაიმართა კიდეც 26 ნოემბერს. თბილისის „დინამოს“ სიტყვაძუნწი, უთქმელი უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი დათანხმდა შეხვედროდა ჟურნალისტებს, რათა გამოეთქვა თავისი აზრი ყველა საკითხზე, რომლებიც გუნდის მეგობრებსა და ქომაგებს აწუხებს. ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა, ახალკაცმაც მათ პირდაპირ და გულახდილად უპასუხა. კერძოდ, მან განმარტა მიზეზებიც, რომელთა გამო ზღუდავს თავის კონტაქტებს ჟურნალისტებთან, მაგრამ საუბრის მთელი ოთხი საათის მანძილზე მთავარი თემა იყო თბილისის „დინამოს“ თამაში, მისი წარმატებანი და წარუმატებლობანი, ის ცხადი გარდვევა მის თამაშში, რომელმაც ასე აშკარად იჩინა თავი დრამატული მოვლენებით აღსავსე საფეხბურთო სეზონის დამლევს. სწორედ ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი:

— მაშ ასე, 1982 წლის სეზონი... იგი უდავო ლიდერებად და ფავორიტებად დაიწყეთ და სავსებით აშკარა კრიზისის პირობებში დაამთავრეთ... რა მოხდა? რა არის ასეთი დაქვეითების მიზეზი?

— იგი ჯერ კიდევ 1981 წელს თასების მფლობელთა თასის მოგების შემდეგ განვჭვრიტეთ. ფსიქოლოგიაში არის ისეთი ცნება, როგორიცაა სუპერმოტივაცია, რომელიც ხსნის გარკვეულ პირობებში ადამიანის ქცევის რთულ მექანიზმს. გაესაუბრეთ ფსიქოლოგებს და ისინი განგიმარტავენ ამ ფენომენს: რომელიმე მეტად ძნელი მწვერვალის დაპყრობის შემდეგ ადამიანებისათვის საჭიროა ახალი, უფრო მძლავრი სტიმულები, რათა განაგრძონ წინსვლა, ანდა, მიღწეულ დონეზე მაინც დარჩნენ.

მოვიშველიებ ასეთ მაგალითს. მადრიდის „რეალის“ წამყვანმა ფეხბურთელმა ამანსიომ თამაში ოცდაჩვიდმეტი წლისამ დაამთავრა და, როგორც ერთსულოვნად აღიარა მისმა გუნდმა, დაამთავრა ნაადრევად. მთელი საქმე კი ის იყო, რომ, როცა კრიტიკულ ასაკს მიაღწია და ტრავმაც მიიღო, მან მკვეთრად უკლო თამაშს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა იგი გუნდში დატოვეს. ექსტრაკლასის პროფესიონალი ამანსიო, რომლისთვისაც ფეხბურთი შესამჩნევი სოციალური როლიც და არსებობის საშუალებაც არის, ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა მწვრთნელებისათვის, რომ ისინი არ შემცდარან. ამანსიოს ჰქონდა ზემოტივები, ასაკის მიუხედავად, დაეპყრო ახალი სიმაღლე, და მიაღწია კიდეც მას...

ახლა ჩვენი გუნდის შესახებ. მოვიგეთ ევროპის თასების თასი. მოვიპოვეთ უმაღლესი წოდებანი საბჭოთა სპორტში. რა სტიმულებიღა შეიძლებოდა ყოფილიყო ქმედითი ახალგაზრდა მოყვარული მოთამაშეებისათვის? სუპერმოტივიზაცია მოვლენაა, რომელიც ქვეცნობიერის სფეროს განეკუთვნება. რამდენიც გნებავთ შეიძლება მოუწოდებდე ადამიანებს, სულ წინ-წინ იარეთო, მაგრამ სიტყვები უძლური გამოდგება შინაგანი მოდუნების მექანიზმის წინააღმდეგ.

სხვა საქმეა, რომ მე, როგორც მწვრთნელი, მოვალე ვიყავი შემებრძოლებინა ასეთი მოდუნების [...]

ტებს, რომლის ექსცესებიც ასევე გარდაუვალია.

— თქვენი აზრით, ამ უძნელეს პირობებში ვინ გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას? ვინ შეინარჩუნა გუნდში საკუთარი სახე, თავისი ავტორიტეტი და კოლექტივის პრესტიჟი?

— ჩივაძემ. დანარჩენების, ვიცით რა მათი პოტენციური შესაძლებლობანი, უკმაყოფილო ვართ. მაგრამ ჩივაძეც გაცილებით უკეთ წარმოგვიდგებოდა, დანარჩენებს რომ საჭირო დონეზე ეთამაშათ...

— ამრიგად, თქვენ უმრავლესობის უკმაყოფილო ბრძანდებით.. მაშასადამე, შეიძლება ვილაპარაკოთ, გუნდის არა უკუგებაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოთამაშეთა პიროვნულ ნაკლოვანებაზე, სუბიექტური მომენტების გავლენაზე. მიზეზი კი რა არის?

— მიზეზი ბევრია, და ზოგიერთ მათგანს შეუიარაღებელი თვალით ვერ დაინახავ. მაგრამ მიგვაჩნია, რომ სეზონის შედეგებს ყოველმხრივ უნდა მოვეკიდოთ. შევძელით საქმეში შეგვემოწმებინა ახალგაზრდა ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი. ესოდენ დიდი გამოცდის ხარვეზები ნათელია, მაგრამ ასევე ნათელია მიღებული ცოდნის სარგებლობაც. თუმც მწარეა ეს გამოცდილება, მაგრამ უამისოდ დღეს გაცილებით უფრო სუსტი ვიქნებოდით.

— ეს უთუოდ ასეა. მაგრამ მოდით დავუბრუნდეთ იმას, რაც შე-

ნოდარ ახალკაცი:
„სამომავლოდაც — შრომა და ძიება“...

უიარაღებელი თვალით არ ჩანს. ჩვენი კოლეგებისა და ფეხბურთის მოყვარულთა ნაწილს შორის არსებობს აზრი: ახალკაცი — მწვრთნელი სჯობსო ახალკაცს — სელექციონერს. აქ გადარებენ ანდრო ჟორდანიას, და ამ შედარებას [...]

— თქვენ არ დაასახელეთ ის სამნი...

— იქნებ, ის დროც დადგეს, როცა პრესაში დავასახელებთ ზოგიერთ სპორტული რეჟიმის დამრღვევებს. მაგრამ ჯერჯერობით ვერიდებით ასეთ ნაბიჯს: ვაითუ ასეთმა საჯაროობამ მეტი ზიანი მიაყენოს ჯერ კიდევ სუსტ, ჩამოუყალიბებელ ხასიათებს. მაგრამ მტკიცედ გპირდებით, რომ ყოველგვარი მორალური დეფორმაციის მიმართ შეურიგებლობის ატმოსფერო კოლექტივში არ შეიცვლება.

რაც შეეხება პრესას, მას შეუძლია და კიდევაც უნდა გვეხმარებოდეს როგორც სპორტსმენისადმი, ისე მაყურებლის, ქომაგისადმი მაღალი მომთხოვნელობის კლიმატის ჩამოყალიბებაში.

— თქვენ შეეხეთ მეტად მწვავე საკითხს იმის შესახებ, თუ რაში შეუძლია პრესას გეხმარებოდეთ და კიდევაც უნდა გეხმარებოდეთ თქვენ... ჩვენთვის, ჟურნალისტებისათვის, ეს თავიდათავია. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, სანამ ამ საქმეს დავიწყებდეთ, ნება გვიბოძეთ დავუბრუნდეთ სელექციას. რა არის თქვენი სელექციო პრინციპი? როგორ არის მოწყობილი შერჩევა გუნდში: სპორტსმენის რა თვისებებს ანიჭებთ უპირატესობას?

— თანამედროვე საფეხბურთო ტალანტის პარამეტრები საყოველთაოდ არის ცნობილი მსოფლიო პრაქტიკიდან, და ჩვენც მათ ვიცავთ. ვცდილობთ, ყოველ შემთხვევაში. მე კი პირველ ადგილზე ვაყენებ სპორტსმენის ინტელექტს, აზროვნების უნარს.

რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ არის არც ერთი რანგის შეჯიბრება, რომელიც არ გაესინჯოთ ჩვენი სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს სპეციალისტ[...]

[...]ლიც ქვეყნის გუნდს მსოფლიო ჩემპიონატისათვის ამზადებდა?

— არა, ეს შეცდომა არ ყოფილა... გადაწყვეტილების მიღებისას მე ვხელმძღვანელობდი არა ვისიმე აზრით, არამედ რეალური ვითარებით. რეალური ვითარება კი ისეთი გახლდათ, რომ მე მოვალე ვიყავი მიმეღო ეს წინადადება.

— კიდევ ერთი ძნელი საკითხი — დავით ყიფიანის წასვლა. ბევრის აზრით, იგი ჯერ არ უნდა წასულიყო...

— მოდით, ამ ადამიანებმა დაუსვან საკუთარ თავს ასეთი კითხვა: „დაჯერდებოდა თვითონ დავითი ცალი ფეხით თამაშს?“ სხვა საქმეა, რომ ფეხნატკენ დავითს მეტი შეუძლია, ვიდრე ზოგიერთ სხვა მოთამაშეს — ორთავე ფეხით, მაგრამ აბა დაუფიქრდით, თავად დავითი კმაყოფილი დარჩებოდა?

როცა ბოროდინოს ბრძოლაში ბაგრატიონი დაჭრეს და ფეხის მოკვეთა დაუპირეს, გენერალმა თავის ადიუტანტს ჰკითხა: „შეგიძლია, ცალფეხა ბაგრატიონი წარმოიდგინო?“.

პირადად მე ვერ გავკიცხავ დავითს, თავი რომ დაანება თამაშს. იგი ძალზე მომთხოვნი სპორტსმენია და თამაშის დონის დაქვეითება მისთვის ტანჯვა იქნებოდა.

ფეხბურთელებს სულ მუდამ ჩავჩიჩინებ: რაც შეგიძლიათ, გაიხანგრძლივეთ თქვენი საფეხბურთო სიცოცხლე. თუ ბუნებამ ნიჭით დაგაჯილდოვათ, კეთილ ინებეთ, და გასარჯეთ ეს ნიჭი. ეს იმის მაქსიმუმია, რისი მოტანაც შეგიძლიათ თქვენი ხალხისათვის. მაგრამ როცა წასვლის დრო დაგიდგებათ — ნუ დააყოვნებთ. თორემ შეიძლება სახელი გაიტეხოთ. ზოგჯერ, სახელის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე სახელის გათქმა.

ყიფიანის პიროვნული მასშტა[...]

[...]

ჩვენი მთავარი მაყურებელი

ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ტრადიციული კვირეული „თეატრი და ბავშვები“. ამჯერად სცენური ხელოვნების დღესასწაული ახალციხეში გაიხსნა, შემდეგ კი დედაქალაქში გადმოინაცვლა.

კვირეულის სადღესასწაულო აფიშაშია შემოქმედებითი კოლექტივების საუკეთესო დადგმები.

გაიმართება სცენის ოსტატთა შეხვედრები მაყურებლებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, საუბრები და დისპუტები თეატრის შესახებ, საპრობლემო კონფერენციები, კონკურსები საუკეთესო რეცენზიის, ნახატის, თხზულებისათვის. ბავშვებს დიდად დააინტერესებს თეატრებში გამართული „ღია კარის დღეები“, „თეატრში პირველად მისვლის დღესასწაული“, „სოფლის მოსწავლის დღეები“.

დღესასწაული დამთავრდება საზეიმო საღამოთი 20 დეკემბერს თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში, რომელზეც კონკურსების გამარჯვებულებს გადაეცემათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თეატრალური საზოგადოების დიპლომები.

საქართველოში მეცხრედ მიმდინარეობს კვირეული „თეატრი და ბავშვები“, — თქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა. — კვირეულის მთავარი აზრი ის არის, რომ თავისებურად შეჯამდეს წლის მანძილზე თეატრების მიერ ბავშვებთან გაწეული მუშაობის შედეგები, ამ დარგში მიღწევათა ფართო და საჯარო დათვალიერებად გადაიქცეს. ამასთან ეს მხოლოდ მოზარდ მაყურებელთა თეატრებს როდი ეხება.

„კვირეულში“ გათვალისწინებულია მრავალი ღონისძიება, რომელიც მას დღესასწაულის ელფერს ანიჭებს. განსაკუთრებით შინაარსიანად ჩაივლის „კვირეულები“ ქალაქებში, სადაც დიდ ყურადღებას აქცევენ ნორჩ მაყურებელს, რომელთანაც მუშაობა მიმდინარეობს განუწყვეტლივ და მიზანმიმართულად.

ამ თვალსაზრისით „კვირეული“ ადგილებზე თეატრალური სიტუაციების ზუსტი ბარომეტრია.

მაყურებლებს „კვირეული“ გადაუშლის სცენური ხელოვნების მშვენიერ სამყაროს. სასურველია, რომ ბავშვების ურთიერთობა ამ სამყაროსთან არ შეწყდეს მისი დამთავრების შემდეგაც, რომ ყოველმა შემდგომმა „კვირეულმა“ მოუტანოს მათ რაღაც ახალი, გააფართოოს და გაამდიდროს ნორჩ მაყურებელთან მუშაობის ფორმები და მეთოდები. (საქინფორმი).

საცდელი სადგური 60 წლისაა

50 ᲬᲔᲚᲘ შეუსრულდა აფხაზეთის თამბაქოს საცდელ სადგურს — ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას.

საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სწავლულ მეთამბაქოეებს მიესალმნენ საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თამბაქოს“ გენერალური დირექტორი ვ. ნოვოსელეცკი, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ჭადრაკის დაფებთან

ცნობები ტალინიდან

ᲥᲐᲚᲗᲐ 42-ე ჩემპიონატის მეშვიდე ტურში გურიელი დამარცხდა კულიკოვასთან, არახამიამ მოუგო ახმარუმოვას. ზაიცევა-ხუგაშვილის, წერეთელ-იოსელიანის პარტიები გადაიდო.

მერვე ტურში წერეთელმა მოუგო ლელჩუკს, ხუგაშვილი — არახამია და იოსელიანი — ფათალიბეკოვა ყაიმზე შეთანხმდნენ. გურიელ — მინოგინას პარტია გადაიდო.

8 ტურის შემდეგ 5 ქულით დაწინაურდა ახმარუმოვა. ეპშტეინს 4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, იოსელიანს — 4,5 (1); წერეთელს — 4 (2); გურიელს — 4 (1); ფათალიბეკოვას — 4; ჩელუშკინას — 3,5 (2); არახამიას და პიარნპუუს — 3,5-3,5 (1); ლელჩუკს — 3,5, ლიტინსკაიას და მინოგინას — 3-3 (2); ხუგაშვილს და კულიკოვას — 3-3 (1); ზაიცევას და ჩეხოვას — 2,5-2,5 (2); კოზლოვსკაიას — 2,5 (1); ტიტორენკოს — 1,5 (1).

ორი ჩემპიონი

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ თბილისის პირველობა ჭადრაკში ვაჟთა შორის, რომელშიც 2 ოსტატი და 14 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა. დებულების თანახმად, სამი გამარჯვებული საქართველოს პირველობაზე (უმაღლესი ლიგა) თამაშის უფლებას იღებდა.

15 შესაძლებლიდან 10,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა: თბილისის № 1 მექანიკური ქარხნის ზეინკალმა ემილ მიქაელიანმა და კიბერნეტიკის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა მუშაკმა გია სიხარულიძემ. თბილისის ჩემპიონის წოდება ორივეს მიენიჭა.

10-10 ქულით მესამე-მეხუთე ადგილზე გავიდნენ ოსტატი ა. ბოკუჩავა, ოსტატობის კანდიდატები გ. ცქიტიშვილი და გ. ბაღათუროვი. [...]

საკურნირო ორბიტა

ᲰᲝᲙᲔᲘ. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ორი მატჩი გამართა შვეციის ნაკრებთან სტოკჰოლმში. პირველი მატჩი მოიგეს საბჭოთა ჰოკეისტებმა ანგარიშით 4:2, მეორე შეხვედრა დამთავრდა ფრედ 3:3. ორივე მატჩის შედეგი „რუდე პრავოს“ პრიზის გათამაშებაში ითვლება.

ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ. უნივერსალურ სპორტულ დარბაზ „იზმაილოვოში“ დაიწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება და ქვეყნის ჩემპიონატი ცალკეულ ვარჯიშებში. 52 კგ-მდე წონითს კატეგორიაში თასი მოიპოვა უკრაინელმა ძალოსანმა ბ. რიეიკმ — ორჭიდის ჯამი 247,5 კგ. ბ. რიეიკი ჩემპიონი გახდა აგრეთვე ატაცში — 112,5 კგ. აკვრაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ა. სენშინმა (უკრაინა) — 140 კგ.

ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. მსოფლიოს თასის გათამაშებაში სიახლეა — სუპერგიგანტი. ამ ახალ სახეობაში ვაჟთა შორის პირველი ხუთი ადგილი შეეიცვარიელმა სპორტსმენებმა — მიულერმა — 1.35,16, ლიუშერმა — 1.35,22, ტურბრიგენმა — 1.35.77, ჰაინცერმა — 1.36,03 და ბიორგლერმა — 1.36,36 — დაიკავეს. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო მე-20 ადგილზე გამოსული ანდრეევი — 1.37.49. ასპარეზობა ვალდ'იზერში (საფრანგეთი) გაიმართა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რ ე დ ა ქ ც ი ა:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:
[...] ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

16 დეკემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — „გამოგვეხმაურეთ, მეზღვაურებო!“ 10.30 — მხატვრული ფილმი „ძველი ვოდევილი“. 11.35 — ფილმ-კონცერტი. 12.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ადამიანი და [...]

[...] ეკონომია როგორც მეურნეობრიობის მეთოდი თანამედროვე ეტაპზე. 19.45 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. გფრ-ს ნაკრები — სსრ კავშირის ნაკრები. შესვენების დროს — 20.20 — დღეს [...]

[...] ტური ტელეფილმი. 9.35 — ბუნებისმეტყველება. მე-4 კლასი. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მიწისძვრა: ძიება, პროგნოზები“. 10.15 — ესპანური ენა. 11.05 — პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. [...]

[...] 15.30 — მხატვრული ფილმი „მოვა რიჟრაჟი ბედნიერ ყოფის“. II სერია. 16.45 — ახალი ამბები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — მუსიკალური გადაცემა. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — საერთაშორისო ტურნირი [...]

16 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტამარინსკელი კაპიტნები“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — „სსრკ-[...]

[...] 13.30 სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „პოეტი ემილიან ბუკოვი“ და „კავკასიელი ცადიდან“. 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — განცხადებები. 17.35 — მოსწავლეთათვის „ჯა-[...]

[...] ველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „მოწიფული ვაჟიშვილი“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „სსრკ-60“ — პირველი გასტროლები (კინომსახიობის თეატრი მოსკოვში). 23.10 — „სპორტული კალეიდოსკოპი“.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 . უე 08569 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოჯარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20